



№1-25/26

20/10/2020

რეცენზია

კლინიკური პრაქტიკის სტანდარტის/პროტოკოლის თაობაზე

ესენციური ჰიპერტენზიის მართვა მოზრდილებში პირველადი ჯანდაცვაში

დავალების განმარტება:

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის მიერ განხილული და მომზადებული იქნა რეცენზია „პირველადი ჯანდაცვის დონეზე მოზრდილებში ესენციური ჰიპერტენზიის მართვის“ პროტოკოლზე, რომელიც შემუშავდა საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) და ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში. პროტოკოლის განხილვაში მონაწილეობდა საოჯახო მედიცინის ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფი - ოჯახის ექიმები და ოჯახის ექიმ-მასწავლებლები.

ზოგადი კომენტარები

პროტოკოლის შემუშავებისათვის შესრულებულია ვრცელი და ყოვლისმომცველი სამუშაო, რაც უდაოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. პროტოკოლი ეყრდნობა უახლეს საერთაშორისო რეკომენდაციებს და მეცნიერულ მტკიცებულებებს, ითვალისწინებს არტერიული ჰიპერტენზიის ადეკვატური მართვის კრიტიკულ მნიშვნელობას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ტვირთის შემცირების მიმართულებით, შესაბამისად, ის მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართველ ექიმებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე ესენციური ჰიპერტენზიის მართვის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში.

პროტოკოლის სტრუქტურა

რეცენზირებული პროტოკოლის სტრუქტურა შესაბამისობაშია დაავადებათა მართვის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) შემუშავების სახელმძღვანელოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს. თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი (ცხრილები, სქემები) ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების შესახებ, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

პროტოკოლის შინაარსი

შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად, რეკომენდაციები ეფუძნება მსოფლიოში ჩატარებული სარწმუნო კვლევების შედეგებს, ავტორიტეტულ საერთაშორისო წყაროებს

და ეროვნულ გაიდლაინს. განხილულია ძირითადი მიდგომები არტერიული ჰიპერტენზიის მართვაში, რომლებიც ძირითადად, ამერიკულ და ევროპულ რეკომენდაციებს ეფუძნება. ამომწურავად არის მოცემული ინფორმაცია ჰიპერტენზიის სკრინინგის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასების, არამედიკამენტური მკურნალობის მნიშვნელობის, ფარმაკოლოგიური მკურნალობის ჩარევის ზღურბლის, სამიზნე არტერიული წნევის, ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტური მკურნალობის სტრატეგიის შესახებ სხვადასხვა სპეციფიკურ ჯგუფებში.

პროტოკოლის შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს. პროტოკოლის რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვის მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შედგენა და ტრეინინგების ორგანიზება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის და სამიზნე ორგანოების დაზიანების შეფასებაზე დაფუძნებული სამკურნალო გეგმების შედგენა, ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტების დოზის ტიტრაცია და პაციენტის დამყოლობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები მოითხოვს რეგულარულ ტრეინინგს სპეციალური სასწავლო მეთოდოლოგიის გამოყენებით.

დასკვნა:

- რეცენზირებული პროტოკოლი მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს.
- სასურველია, პროტოკოლის გადახედვის ვადა არ აღემატებოდეს დამტკიცებიდან 2 წელს, რათა გატარდეს შესაბამისი ცვლილებები პროტოკოლის პრაქტიკული დანერგვის შედეგების გათვალისწინებით და ახალი მტკიცებულებების დაგროვების შესაბამისად. განახლებული პროტოკოლი შესაბამისობაში უნდა იყოს ამ დარგში არსებულ უახლეს საერთაშორისო წყაროებთან და საქართველოში პირველადი სამედიცინო მომსახურების მოდელის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი

